979/3-26/22 2 04022022

979/3-26/22
04-02-2022

ქალაქ თბილისის მერს
ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, მომაწოდოთ ინფორმაცია:

1. ქალაქ თბილისის მერიის 2022 წლის ბიუჯეტში არის თუ არა განსაზღვრული სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფისთვის თანხები?
2. რა პრინციპით განახორციელებს თბილისის მერია სოციალურად დაუცველებისთვის ბინის გადაცემას ?
3. რამდენი ქულის მფლობელ სოციალურად დაუცველ პირებს შეეხება აღნიშნული სარგებელი ?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე ელისაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების
საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **15-01220663211**
თარიღი: **07/03/2022**
პინი: **5751**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი
მისამართი: ალექსანდრე ელისაშვილი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 04.02.2022 წლის №979/3-26-22 წერილი უსახლკარო ოჯახების ბინით უზრუნველყოფის თაობაზე.

პასუხად გაცნობებთ, რომ

1. 2022 წლის ბიუჯეტში გამოძებნილ იქნა თანხები, რომლითაც მოხდება უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფა.

2. მიმდინარე წელს იგეგმება სხვადასხვა ლოკაციაზე ბინების შეძენა, მათი საცხოვრისებად გამოყენების მიზნით, ბინები უსახლკაროდ რეგისტრირებულ ოჯახებს გადაეცემათ სარგებლობის უფლებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის #37-14 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში მინიჭებული ქულები არ არის ბინით უზრუნველყოფის განმაპირობებელი, ბინებით უზრუნველყოფა ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის #37-14 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

პატივისცემით,

გელა ჩივიაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი